



სკოლის გაზიარება



"ევროპული სკოლა" ახალ სასწავლო წელს ეგებება

ამა წლის 18 სექტემბერს საზეიმოდ აღინიშნა "ევროპული სკოლი" 10 წლის იუბილე და ახალი სასწავლო წლის დაწყება. ცერემონიას, რომელიც სკოლის წინა ეზოში გაიმართა, 800-ზე მეტი მოსწავლე და 100-ზე მეტი ადმინისტრაციის წარმომადგენელი ესწრებოდა. ევროპული სკოლის აკადემიურმა დირექტორმა ქალბატონმა სოფო ბაზაძემ თავის მიმართვაში მოსწავლეებს წინსვლა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება უსურვა.

ცერემონიაზე "ევროპული სკოლი" კურსდამთავრებულებმა სკოლის ჰიმნის ფონზე საქართველოს და ევროკავშირის დროშები აღმართეს. ცერემონია მოსწავლეების კლასებში განაწილებით დასრულდა.

ამერიკელი უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელი, ჯოზეფ ბლეიქი

აშერიკული სკოლის მოსწავლეებმა სოფელ ჩარგალში ჯომარდობა მოაწყვეს

ჯომარდობა მდინარე არაგვზე ბავშვებთან დაახლოების არაჩვეულებრივი გზა და ამასთანავე სახალისო გამოცდილება აღმოჩნდა, განსაკუთრებით ჯი ახალი მოსწავლეებისთვის. ჯომარდობა სკოლის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში მოეწყო და აქედან გამომდინარე, ბავშვების უმეტესობას უკვე ვიცნობდი, მაგრამ ამ ექსკურსიაზე უკეთესი შანსი მომეცა, რათა დავახლოვებოდი მათ და დრო სკოლის გარეთ ერთად გაგვეტარებინა. ექსკურსიაზე სოფელ ჩარგალსაც ვესტუმრეთ, საერთო ჯამში, ეს ექსკურსია ჩემთვის დასამახსოვრებელი აღმოჩნდა, ერთი მხრივ, ბუნებაში გატარებული მხიარული საათებით, მეორე მხრივ, გემრიელი ტრადიციული საჭმელებით.

ელიზაბეტ არველაძე, ამერიკელი უმაღლესი სკოლის მე-10 კლასელი



348 ალ. ყაზბეგის გამზ. თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 239 59 64,
მეილი: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

STAR STUFF

ცნობილმა ესპანელმა მხატვარმა, სალვადორ დალიმ თქვა: "ცოდნა ამბიციის გარეშე იგივეა, რაც ფრინველი ფრთების გარეშე". 2017 წლის 29 სექტემბერს "ევროპულმა სკოლამ" NASA-ს ორ ცნობილ ინჟინერს, ჯონ ჯასანს და რობ მენინგს უმასპინძლა.

სკოლაში მონვეულმა სტუმრებმა მოსწავლეებს ნამდვილი მოგზაურობა მოუწყვეს კოსმოსში. NASA-ს წარმომადგენლებმა თავიანთ პიროვნულ გამოცდილებაზეც ისაუბრეს, როგორ დაიწყო მათი დიდი მიზნების განხორციელება ბავშვური ოცნებით. ასტრონავტები დამსწრეებს თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებზე ესაუბრნენ.

ერთ-ერთმა ინჟინერმა, მისტერ ჯასანიმ მოსწავლეებს სამომავლოდ საქართველოში სხვადასხვა პროექტის განხორციელებისა და დაარწმუნა, რომ ეს სრულიად შესაძლებელია საქართველოშიც, ამისათვის კი მხოლოდ ქართველი ახალგაზრდების მონდობაა საჭირო. ასეთი პროექტები მნიშვნელოვან კითხვაზე იძლევიან პასუხს: "მარტო ვართ თუ არა ამ სამყაროში?"



NASA-ს ინჟინრებთან შეხვედრა დიდი მოტივაცია იყო სკოლის მოსწავლეებისათვის, რადგან დაარწმუნა ისინი, რომ აუხდენელი ოცნებები არ არსებობს.

"ლექციამ ჩემთვის თვალსაჩინო გახადა, რამდენ დროსა და ენერჯიას მოითხოვს ნებისმიერი კოსმოსური მისიის შესრულება, და დიდ სურვილი გამიჩინა მომავალში მეც მომეცეს შანსი წვლილი შევიტანო ასეთ გრანდიოზულ პროექტებში."

"ინჟინრების სკოლაში სტუმრობამ თვალი ამიხილა და დამარწმუნა, რომ მოსწავლესაც კი ძალიან ბევრის გაკეთება შემიძლია. ლექციამ მოტივაცია მომცა სხვანაირად მეფიქრა და უფრო გლობალურად მივდგომოდი საკითხებს. ამ ადამიანებთან შეხვედრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ნოველისტი ლევისის გამოთქმა: "არასდროს არ ხარ საყმარისად მოხუცი იმისთვის, რომ არ დაისახო ახალი მიზანი" - სრული ჭეშმარიტებაა."



NASA მსოფლიოს უდიდესი ორგანიზაციაა, რომელმაც ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა და მსოფლიოს უამრავ კითხვაზე გასცა პასუხი. წელს ეს ორგანიზაცია "ჩაქრულოს" კოსმოსში გაშვების 40 წლის თავს ზეიმობს.

IB DP მე-11 კლასელი, დია მეთიუ

ექსპურსია- საშუალება, გავიზარდოთ და გავივლოთ მები

"სწავლა არ უნდა იყოს მოსაწყენი, მაგრამ ის არ უნდა გადაიქცეს თავშესაქცევ საქმიანობად, მას უნდა ჰქონდეს რაღაც დანიშნულება, აზრი მისთვის, ვინც სწავლობს"- ტიმ ტელორის ეს სიტყვები ჯარგად ესადაგება შემეცნებითი ექსპურსიების ფენქციას, როცა სწორად დაგეგმილი ექსპურსია იმავდროულად არის სახალისო და საინტერესო გაკვეთილი. სწორედ ასეთი სახალისო და შემეცნებითი ექსპურსიის მოწყვეს MYP10 A/C კლასის ქართველმა მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ია ტაღუასთან ერთად. ისინი 14-15 ოქტომბერს იმყოფებოდნენ სოფელ ჭყვიშში, გალავანი და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმში; ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში; საჩხერის რაიონში - სხვიტორსა და სავანეში - აჯაი ნერეთლის სახლ-მუზეუმში; არგვეთში - ჰალოო იაშვილისა და მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმში. ექსპურსიის მარშრუტი განსაზღვრა სასწავლო პროგრამამ. პირველ თემის (Unit) "ქართულ-ბიზანტიურ ჰაგიოგრაფია", ფარგლებში შეისწავლეს "გრიგოლ ხანტელის ცხოვრება". სწორედ ამიტომ მოსწავლეებმა დაათვალიერეს უბისის ტაძარი და გაინახეს უპიზოდი ტექსტიდან, რომელშიც ამ მონასტრის დაარსებაა მოთხრობილი. შემდეგ თემაში, "მოთვინიერებული და მოუთვინიერებელი მწერლობა", მოსწავლეები შეისწავლიან XX საუკუნის 20-30-იანი წლების ლიტერატურულ პროცესებს. სწორედ ამ თემის გამო დაიგეგმა ტიციანის, გალავანიონისა და ჰალოო იაშვილის სახლ-მუზეუმებში გაკვეთილის ჩატარება. შთამბეჭდავი იყო ჭყვიშში, გალავანიონისა და ტიციანის სახლ-მუზეუმში სტუმრობა. მოსწავლეებს თავად მუზეუმის დირექტორმა ფერიკა მატარაძემ და ფონდის მთავარმა მცველმა ელენე მამფორიამ უმასპინძლეს. მოსწავლეები გაეცნენ თითოეულ ექსპონატს, დეტალებს, მათთან დაკავშირებულ ისტორიებს. ასეთივე საინტერესო და ინფორმაციული იყო სტუმრობა ვანის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სხვიტორში, სავანესა და არგვეთში. განსხვავებული და განსაკუთრებული ხიზში აქვს პროცესს, როდესაც თავად პოეტის ოთახში ისმენენ მოსწავლეები მისი ცხოვრებისა თუ შემოქმედების შესახებ; როცა თავად ხედავენ გალავანიონის ფანჯრიდან ცნობილ იასამანს, ტიციანის საწერ მაგიდას, საწოლს, რომელშიც დაიბადა და გარდაიცვალა აჯაი... მართლაც, როდესაც ექსპურსიას განსაზღვრავს სასწავლო პროგრამა და მარშრუტი დაგეგმილია მოსწავლეებთან შეთანხმებითა და მათი ინტერესის გათვალისწინებით, შედეგი ყოველთვის საუკეთესოა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ია ტაღუა